ხელშეკრულება N5

ქ.თბილისი 31 დეკემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), გამგებლის ტარიელ ებრალიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „საქართველოს ფოსტა“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. საფოსტო გზავნილი – წერილი/მცირე პაკეტი/ამანათი.

1.2. I კლასის/ რეგისტრირებული წერილი - დამკვეთის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია საფოსტო მომსახურების განხორციელების გზით ერთი კონკრეტული ადრესატისათვის ერთ კონკრეტულ მისამართზე მისატანად/ჩასაბარებლად. წერილობითი კორესპონდენციის მაქსიმალურ წონად განისაზღვროს 2კგ (გარდა გამონაკლისისა, სასამართლო საქმე ბრაილის შრიფტი და ა.შ);

1,3. „მცირე პაკეტი“ – წერილობითი კორესპოდენციის სახეობა, რომლის შიგთავსი შეიცავს ბეჭდვით მასალებს, დოკუმენტებს, ხელნაწერებს და ფოტოსურათებს, აგრეთვე სხვა ნაბეჭდ მასალას, რომელთა გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო წონა არ აღემატება 4 კილოგრამს;

1.4. შეკვეთილი / რეგისტრირებული საფოსტო გზავნილი: - გზავნილი, რომელიც მიმღებს ბარდება ხელმოწერით და რეგისტრირებულია გზავნილების მოძიების ელექტრონულ ბაზაში.

1.5. „ამანათი“ – საფოსტო გზავნილის სახეობა, რომლის შიგთავსიც შეიძლება იყოს არაუმეტეს 30 კგ-მდე წონის ნებისმიერი საგანი, თუ მისი გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

1.6. ადრესატი – პირი რომელზეც დამისამართებულია დამკვეთის გზავნილი;

1.7. საფოსტო მომსახურება - შემსრულებელის მიერ ამ ხელშეკრულებით მე-3 მუხლით დადგენილი წესით დამკვეთისაგან საფოსტო გზავნილის მიღება და ადრესატისათვის დამკვეთისაგან მითითებულ მისამართზე მიტანა/ჩაბარება.

1.8. საფელდეგერო მომსახურება -საკანონმდებლო, აღმასრულებელ სახელისუფლებო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს შორის მიმოწერის, მათ, შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო საფოსტო გზავნილის, დანიშნულების ადგილზე ადრესატისათვის დადგენილი მარშუტებითა და წესით მიტანა ჩაბარება;

1.9. სასწრაფო - საფოსტო გზავნილი ჩაითვლება სასწრაფოდ თუ დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე გზავნილი ადრესატს ბარდება მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გარდა: მესტია, ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ტყიბული, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი, ჩოხატარი, თერჯოლა, ქედა, შუახევი და ხულო.

1.10. მიღების ადგილი – ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დამკვეთის მისამართი: დაბა შუახევი. თამარ მეფის N30 საიდანაც ხორციელდება საფოსტო გზავნილების შეგროვება და შემსრულებლისათვის გადაცემა.

1.11. მიტანის ადგილი/მისამართი - დამკვეთის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ადრესატის მისამართის/ადგილმდებარეობის შესახებ, სადაც შემსრულებელმა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად უნდა მიიტანოს/ჩააბაროს საფოსტო გზავნილი.

1.12. სამუშაო დღე – ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დღეებად განისაზღვრება: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი (საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე და დასვენების დღეების გარდა)

1.13. სამუშაო საათი - ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დროდ განისაზღვრება- დრო 9 საათიდან -17- საათამდე;

1.14 ადმინისტრაციული ერთეული – საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული - ქალაქი, დაბა, სოფელი ერთი და იმავე რეგიონის ფარგლებში, გარდა ქ. თბილისისა.

1.15. საიდუმლო გზავნილი - ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციის შემცველი გზავნილი, რომელზეც კეთდება შესაბამისი ,,საიდუმლო გრიფის" აღნიშვნა.

1.16. "საიდუმლოების გრიფი" - რეკვიზიტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით საფოსტო/საკურიერო მომსახურების გაწევა ქვეყნის შიგნით, აგრეთვე საფოსტო მომსახურების გაწევისათვის დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის ღირებულების გადახდა თანდართული ტარიფების შესაბამისად.

2.1.1. ქვეყნის შიგნით საფოსტო/საკურიერო მომსახურება - დანართი:№1;
2.1.2. საფელდეგერო მომსახურება - დანართი N2;

მუხლი 3. საფოსტო მომსახურების გაწევისა და შემსრულებლის მიერ საფოსტო გზავნილის ქვეყნის შიგნით მიტანის/ჩაბარების პირობები

3.1. საფოსტო მომსახურების მისაღებად დამკვეთი მატერიალური დოკუმენტის ან ელექტრონული სისტემის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა შემსრულებლის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას, ატყობინებს შემსრულებელს საფოსტო მომსახურების მიღების სურვილის თაობაზე. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საფოსტო გზავნილში

3.1.1 შემავალი პაკეტების რაოდენობაზე;

3.1.2 საფოსტო მომსახურების მიღების რეჟიმის (ჩვეულებრივი ან სასწრაფო) თაობაზე;

3.2 შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, შემსრულებელი ვალდებულია გამოცხადდეს საფოსტო გზავნილის მიღების ადგილზე და უზრუნველყოს დამკვეთისაგან საფოსტო გზავნილის წამოღება. სასწრაფო გზავნილის მისაღებად შემსრულებელი საფოსტო გზავნილის მიღების ადგილზე ცხადდება დამკვეთთან შეთანხმებული ვადის განმავლობაში.

3.3 დამკვეთი ვალდებულია ამ მუხლის 3.2 პუნქტით განსაზღვრული წესით შემსრულებლის გამოცხადებამდე უზრუნველყოს საფოსტო გაზვნილის დახარისხება და გასაგზავნად მომზადება, რათა არ მოხდეს შემსრულებლის შეფერხება. თითოეული გზავნილი უნდა იქნეს ერთიმეორისაგან გამიჯნული, ამასთან ერთი გზავნილი შეიძლება დამისამართებული იქნეს მხოლოდ ერთ ადრესატზე, ერთ მისამართზე წასაღებად შემდეგი წესით: კონვერტის მარჯვენა ქვედა კუთხეში მიეთითება ადრესატის სახელი და გვარი, იურიდიული პირის შემთხვევაში ორგანიზაციის დასახელება (ს/კ), მიტანის ადგილი (სრული მისამართი), ინდექსი, ქალაქი, ქვეყანა. სოფლად დამისამართებულ გზავნილზე სავალდებულოა მიეთითოს ადრესატის პირადი ნომერი/ტელეფონის ნომერი/მამის სახელი; ზედა მარცხენა კუთხეში გამგზავნის სრული სახელწოდება და ფაქტ.მისამართი;

- საიდუმლო გზავნილი უნდა იყოს შეფუთული მკვრივ, შუქგაუმტარ ქაღალდში და გაკერილი ჯვარედინად, რომელზეც დაწებებული უნდა იყოს ბეჭედდასმული თხელი ქაღალდი, რომლის ანაბეჭდი უნდა ემთხვეოდეს დამკვეთი ორგანიზაციის დასახელებას;

3.4 საფოსტო მომსახურების მიღების მიზნით დამკვეთის მიერ საფოსტო გზავნილის შემსრულებლისათვის გადაცემა ხორციელდება შესაბამისი რეესტრის საფუძველზე, რომელშიც თითოეული პაკეტის შესახებ მითითება:

3.4.1. მიტანის ადგილი (სრული მისამართის მითითებით), ადრესატის სახელი, გვარი, სახელწოდება.

3.4.2. საფოსტო მომსახურების მიღების რეჟიმი (ჩვეულებრივი ან სასწრაფო).

3.4.3. დამკვეთი ვალდებულია თითოეულ გზავნილზე მატერიალური სახით ჩაბარების დასტურის/უკუგზავნილის მოთხოვნის შემთხვევაში გზავნილზე და რეესტრზე გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა „შეტყობინებით"

3.5. შემსრულებელის მიერ დამკვეთისაგან გზავნილის მიღების შემთხვევაში, იგი ვალდებულია მიტანის ადგილზე გზავნილის პირველი მიტანა განახორციელოს:

3.5.1. 24-დან 72 საათის განმავლობაში, გარდა მაღალმთიანი რაიონებისა და სოფლებისა, სადაც ჩაბარების ვადად განისაზღვრება 2-დან არაუმეტეს 6 სამუშაო დღე. (სასწრაფოს გარდა).

3.6 ამ მუხლის 3.5 პუნქტით განსაზღვრული მიტანის/ჩაბარების დღის ვადა აითვლება შემსრულებლის მიერ დამკვეთისაგან გზავნილის მიღების მომდევნო სამუშაო დღიდან.

3.7 შემსრულებლი საფოსტო მომსახურების გაწევისას ხელმძღვანელობს შემდეგი წესით:

3.7.1 შემსრულებელმა ადრესატს გზავნილი უნდა ჩააბაროს პირადად, ხოლო ადრესატის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის დამისამართებული გზავნილი უნდა ჩაბარდეს კანცელარიას, ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ან/და ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უზრუნველყოფს გზავნილს ადრესატისთვის გადაცემას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გზავნილის ჩაბარება უნდა დასტურდებოდეს ელექტრონულ, ან მატერიალურ დოკუმენტზე ადრესატის/მიმღების ხელმოწერით.

3.7.2 თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე, შემსრულებელი ზეპირად განუმარტავს მას იმის თაობაზე, რომ უარის განცხადების შემთხვევაში, გზავნილი შეიძლება მიჩნეული იქნეს ჩაბარებულად. ამ პუნქტით განთვალისწინებულ შემთხვევებში ადრესატის მიერ გზავნილის არ მიღების თაობაზე, შემსრულებელი ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტზე აკათებს შესაბამის აღნიშვანას, ხოლო გზავნილს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უბრუნებს დამკვეთს.

3.7.3 თუ შემსრულებელმა ადრესატი, მისი დროებით არ ყოფნის გამო, ვერ ნახა დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე (მიტანის ადგილზე), იგი გზავნილს აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს (დედას, მამას, ძმას, შვილს, მამიდას და ა.შ). ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გზავნილის მიმღები ელექტრონულ ან მატერიალურ სახის დოკუმენტზე აღნიშნავს თავის სახელს და გვარს, ადრესატთან დამოკიდებულებას და აკეთებს ხელმოწერას .

3.7.4 თუ ამ მუხლის 3.7.3. პუნქტით განსაზღვრულმა სუბიექტმა უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე, შემსრულებელი დამატებით იღებს ვალდებულებას, პირველი ვიზიტიდან 3 (სამუშაო) დღის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ მაინც განახორციელოს მიტანის ადგილზე გზავნილის განმეორებით მიტანა და თუ კვლავ ოჯახის იმავე ან სხვა სრულწლოვანმა წევრმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე, შემსრულებელი ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტზე აკეთებს შესაბამის აღნიშვანას, ხოლო გზავნილს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უბრუნებს დამკვეთს.

3.7.5 თუ გზავნილის მიტანის ადგილზე შემსრულებლის მისვლის დროს ადრესატი ან ამ მუხლის 3.7.3 პუნქტით განსაზღვრული სუბიექტი არ იმყოფება (სახლში არ არიან, კარი არ გაუღეს, სხვაგან გაემგზავრენ და ა.შ), შემსრულებელი დამატებით იღებს ვალდებულებას, პირველი ვიზიტიდან 3 (სამუშაო) დღის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ მაინც განახორციელოს მიტანის ადგილზე გზავნილის განმეორებით მიტანა და თუ კვლავ ვერ მოხერხდა მისი ჩაბარება, გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუბრუნოს დამკვეთს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.7.6. თუ დამკვეთის მიერ მითითებული მიტანის ადგილი არაზუსტი ან არასრულყოფილია, აგრეთვე თუ ადრესატი აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობს, შემსრულებელი ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტზე აკათებს შესაბამის აღნიშვანას, ხოლო გზავნილს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უბრუნებს დამკვეთს.

3.7.7. თუ შემსრულებელს მომსახურების გაწევამდე შეუძლია განსაზღვა, რომ დამკვეთის მიერ მითითებული ადრესატის ან მიტანის ადგილის შესახებ მონაცები არასრულყოფილი ან უზუსტოა, შემსრულებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს საფოსტო მომსახურების განხორცილებეზე.

3.7.8. შემსრულებელი ვალდებულია გზავნილი ადრესატს ან ამ მუხლით განსაზღვრულ სხვა მიმღებს, ჩაბაროს, მხოლოდ მათ მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ. გარემოება, როცა ადრესატი ან სხვა მიმღები პირი უარს აცხადებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენაზე, უთანაბრდება ამ მუხლის 3.7.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

3.7.9. ამ მუხლით გათვალისწინებული სუბიექტების ხელმოწერები, ან/და აღნიშვნები, შეტყობინებები ან სხვა სახის ინფორმაციები შეიძლება განხორციელდეს მატერიალური ან ელექტრონული სახით ან/და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება შემსრულებლის მიერ დამკვეთზე გაწეული საფოსტო მომსახურების კონკრეტული სახეობებისა და რაოდენობის მიხედვით ხელშეკრულებაზე თანდართული განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

4.2. დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის საფოსტო მომსახურებისათვის ამ მუხლის 4.1 პუნქტით განსაზღვრული ღირებულების გადახდა წარმოებს ყოველი თვის ბოლოს, საანგარიშო თვეში ფაქტობრივად განხორციელებული საფოსტო მომსახურების შესაბამისად მხარეთა შორის მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. საფელდეგერო მომსახურებაზე სასწრაფო გზავნილის შემთხვევაში ღირებულება დაანგარიშდება ჩვეულებრივი გზავნილის ღირებულების საამმაგი ოდენობით.

4.4. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3800 (სამი ათას რვაასი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

4.5. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი, გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

მუხლი 5. შემსრულებლის უფლებები და ვალდებულებები

5.1. შემსრულებელი ვალდებულია:

5.1.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;

5.1.2. უზრუნველყოს ჯეროვანი საფოსტო მომსახურების გაწევა;

5.1.3. მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს დამკვეთს ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია.

5.1.4 საფოსტო მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, აცნობოს დამკვეთს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველი.

5.1.5. დამკვეთის მიერ მომსახურების შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში განახორციელოს საფოსტო მომსახურება.

5.1.6. აუნაზღაუროს დამკვეთს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან არ შესრულების გამო მიყენებული ზიანი;

5.1.7. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

5.1.8. ხელი შეუწყოს დამკვეთს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

5.2. შემსრულებელს უფლება აქვს:

5.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

5.2.2. მოთხოვოს დამკვეთს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან არ შესრულების გამო მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

5.2.3. არ განახორციელოს საფოსტო გზავნილის მიღება ან/და საფოსტო მომსახურების გაწევა, თუ დამკვეთს გააჩნია დავალიანება მის მიმართ ან საფოსტო გზავნილი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით დადენილ მოთხოვნებს..

5.2.4. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს გაწეული საფოსტო მომსახურების ღირებულების დროული გადახდა.

5.2.5. იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.

5.2.6. კანონმდებლობით ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას, ან დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულებითა ან/და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.

5.2.7. მოთხოვოს დამკვეთს ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

5.2.8. მოახდინოს გადარიცხული თანხების ინსპექტირება.

5.2.9. უარი განაცხადოს საფოსტო მომსახურების გაწევაზე ან/და გზავნილის მიღებაზე, თუ ერთი პაკეტი დამისამართებულია სხვადასხვა ადრესატზე ან სხვადასხვა მიტანის ადგილზე ან გზავნილში პაკეტები ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ან გზავნილი (პაკეტი) არ აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირობებს;

5.2.10. უარი განაცხადოს კონკრეტული სასწრაფო გზავნილის წაღებაზე, თუ მომსახურების გაწევაზე, ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია;

5.2.11. დამკვეთთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით;

5.2.12. უარი განაცხადოს საფელდეგერო გზავნილის მიღებაზე თუ გასაგზავნ გზავნილში მოთავსებულია ხუთ სხვადასხვა ნომრიან დოკუმენტზე მეტი კორესპოდენცია.

მუხლი 6. დამკვეთის უფლებები და ვალდებულებები

6.1 დამკვეთი ვალდებულია:

6.1.1. საფოსტო გზავნილის მისაღებად დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში შემსრულებლის წარმომადგენლები, ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი საშვი.

6.1.2. მკაცრად დაიცვას გზავნილების გაფორმების, მომზადებისა და შემსრულებლისათვის მათი გაცემის წესი. საფელდეგერო გზავნილში არ განათავსოს ხუთზე მეტი რაოდენობის სხვადასხვა ნომრიანი დოკუმენტაცია.

6.1.3. შემსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

6.1.4. ხელი შეუწყოს შემსრულებელს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

6.1.5. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით განახორციელოს საფოსტო მომსახურებისათვის შესაბამისი ღირებულების გადახდა.

6.1.6 გზავნილების შექმნის და მოძიების ელექტრონულ პროგრამაში მუშაობის უზრუნველსაყოფად ისარგებლოს ბარკოდ წამკითხველი რიდერი.

6.1.7. აუნაზრაუროს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან არ შესრულების გამო მიყენებული ზიანი;

6.1.8. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

6.1.9. შესრულებელთან ურთიერთობისას (ელ.პროგრამაში მუშაობის უზრუნველსაყოფად) გამოყოს საკონტაქტო პირი: სახელისა და გვარის, პირადი ნომრის, საკ:ტელეფონისა და ელ.ფოსტის მითითებით: შესყიდვების სამსახურის უფროსი ომარ აბუსელიძე. ტელ: 599852019: ელ.ფოსტა: omabuseri@gmail.com

6.2. დამკვეთს უფლება აქვს:

6.2.1. მოსთხოვოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მისზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.2.2. იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6.2.3 მოითხოვოს გაწეული საფოსტო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლები.

6.2.4 მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია.

6.2.5. რეგისტრირებულ გზავნილებზე პრეტენზიები განიხილება გაგზავნიდან მხოლოდ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

6.2.6. მოახდინოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება.

6.2.7. შემსრულებელთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

6.2.8. მოთხოვოს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან არ შესრულების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

6.2.9. დამკვეთი უფლებამოსილია დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურების თანხა დაფაროს მომდევნო წლის იანვრის ბიუჯეტიდან.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და სრულად, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასა და არაჯეროვნად შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.5. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ და რომელთა გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომელთა დადგომა, ზემოქმედების თავიდან აცილება დაგადალახვა მხარეებს არ ხელეწიფებოდათ, კერძოდ: წყალდიდობა, დიდთოვლობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.

7.6. ამ მუხლის 7.4. პუნქტით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედების მთელ პერიოდში, მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, მაქსიმალურად შეამცირონ ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეფერხებულია ვალდებულებ(ებ)ის შესრულება.

7.7. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის გარემოებაზე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ხელი შეუშალეს დაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.

7.8. მხარე, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

7.9. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.

7.10. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდა ათ) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

8. დავის გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეები ადგენენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან.

8.2. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

9. ხელშეკრულების ვადა და მოშლა

9.1. წინამდებარე ხელშეკრუკლება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

9.2. წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება მოიშალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

9.3. თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველად თუ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ მოვალეობებს და შესაბამისმა მხარემ განუსაზღვრა მას გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო დამრღვევმა მხარემ ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორება.

10.დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, საფოსტო მომსახურების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

10.4. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დაწყებიდან ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.6. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულებისათვის, მხარეებმა შეიძლება დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტას.

10.7. მხარეები ვალდებულნი არიან იხმარონ ყველა ღონე, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.

10.8. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები

,,დამკვეთი"	„შემსრულებელი“
შუახევის მუნიციპალიტეტი	შპს ,,საქართველოს ფოსტა“
მის. დაბა შუახევი. თამარ მეფის 30	მის: 0100 თბილისი, ვაგზლის მოედანი 2
ს/ს „ ლიბერთი ბანკის"	ტელ: 91 06 54
ბ/კოდი: LBRTGE22	ბანკი: სს „პრივატბანკი“
	ბანკის კოდი: CAVOGE22
ა/ნ GE 35 LB 0120124700733001	ანგ. ნომერი: GE88TP0034080020000642
ს/კოდი 247865145	ს/კ 203836233
შუახევის მუნიციპალიტეტის	გენერალური დირექტორი
გამგებელი: ტარიელ ებრალიძე	ლევან ჩიკვაიძე

ტარიფები

დანართი:1

ქვეყნის შიგნით რეგისტრირებული გზავნილების გაგზავნისას გზავნილის სახის, წონისა და დანიშნულების ადგილის მიხედვით (ლარი-დღგ-ს ჩათვლით)

I კლასის/ რეგისრტირებული წერილობითი კორესპონდენცია	მომსახურების დასახელება	ზომა	ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით	ადმინისტრაციული ერთეულის გარეთ	სწრაფი გზავნილი
			ჩვეულებ. რეჟიმი		
	დიპლომატი	A6	1.64	2.64	+5
	სტანდარტი	A5	2.64	3.64	+5
	არასტანდარტული		4.64	6.64	+5

გზავნილის სახე	წონა	ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით	ადმინისტრაციული ერთეულის გარეთ	სწრაფი რეჟიმი
		ჩვეულებ. რეჟიმი		
მცირე პაკეტი	0-დან - 4 კგ-მდე	5	7	+5

გზავნილის სახე	გზავნილის წონა	ფოსტის სერვის ცენტრიდან სერვისცენტრებამდე	დანიშნულების ადგილამდე			
			ადმინისტრაციული ერთეულის შიგნით		ადმინისტრაციული ერთეულის გარეთ	
			ჩვ. რეჟიმი	სწრაფი რეჟიმი	ჩვ. რეჟიმი	სწრაფი რეჟიმი
ამანათი	5 მდე	5.00	6.00	15.00	8.00	20.00
	5-დან-15-მდე	10.00	12.00	30.00	15.00	40.00
	15დან -30-მდე	15.00	18.00	45.00	20.00	60.00
	30 კგ ზემოთ ყოველ დამატებით კილოგრამზე		0,50	1,20	0,60	1,75

დამატებითი მომსახურება

	მომსახურების სახე	გზავნილის ღირებულების დაანგარიშება	მომსახურების ღირებულება
	დაზღვევა	0 დან - 300 ლარი	3 ლარი
		300 ლარიდან ზევით ყოველ მომდევნო 100 ლარზე დამრგვალებით.	+1 ლარი
	გზავნილი შეტყობინებით/ჩაბარების დასტურით		გზავნილის ღირებულება გამრავლებული 1.8-ზე
	ხელიდან ხელში (მხოლოდ ადრესატზე)		გზავნილის ღირებულების ორმაგი ოდენობა

შენიშვნა: წერილობითი კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზღვროს - 2 კგ-ით (გარდა გამონაკლისისა, სასამართლო საქმე ბრაილის შრიფტი და ა.შ) ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში 2-კგ-ის ზევით ყოველ 100 გრამზე დაემატება 0,50 ლარი. ურღვევი კორესპოდენციის გზავნილის გაგზავნის შემთხვევაში 2-კგ-ზე ზევით ყოველ დამატებით 100 გრამზე 0,50 ლარი დაემატება არასტანდარტული გზავნილის ღირებულებას;

„დამკვეთი"

ტარიელ ებრალიძე

„შემსრულებელი"

ლევან ჩიკვაიძე

ტ ა რ ი ფ ე ბ ი

ქვეყნის შიგნით საფელდეგერო მომსახურებაზე გზავნილის წონისა და
დანიშნულების ადგილის მიხედვით
(ლარი დღგ-ს ჩათვლით)

#	გზავნილის წონა	გზავნილის ერთი და იმავე ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაბარება	გზავნილის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაბარება
1	50 გრ-მდე	1.80	2.10
2	100 გრ-მდე	2.10	2.40
3	150 გრ-მდე	2.40	3.10
4	200 გრ-მდე	2.70	3.40
5	300 გრ-მდე	3.00	4.10
6	400 გრ-მდე	3.30	4.40
7	500 გრ-მდე	3.60	5.10
8	600 გრ-მდე	3.90	5.40
9	700 გრ-მდე	4.20	6.10
10	800 გრ-მდე	4.50	6.40
11	900 გრ-მდე	4.80	7.10
12	1000 გრ-მდე	5.10	7.40
13	2 კგ-მდე	5.40	8.10

შენიშვნა:

1) წერილობითი კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზღვროს - 2 კგ-ით (გარდა გამონაკლისისა, სასამართლო საქმე ბრაილის შრიფტი და ა.შ) ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში 2-კგ-ის ზევით ყოველ 100 გრამზე დაემატება 0,50 ლარი.
2) სასწრაფო გზავნილის შემთხვევაში ღირებულება დაანგარიშდება ჩვეულებრივი გზავნილის ღირებულების სამმაგი ოდენობით.

„დამკვეთი"

ტარიელ ებრალიძე

„შემსრულებელი"

ლევან ჩიკვაიძე